№ 160 ივლისი 29, ხუთშაბათი 1893 ივლისი 29, ხუთშაბათი № 160


# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## დაუჯერებელი შემთხვევა

—

ვინ დაიჯერებდა, რომ ქალაქი პეტერბურგი, ეს უპირველესი ალაგი რუსეთის განათლებისა, ვერ მოსძებნიდა ერთს კაცს?!

თუმცა სწორედ ძნელი დასაჯერებელია ამისთანა აჩირებული ამბავი, მაგრამ ნამდვილად-კი ასე მოხდა.

რადგანაც ქალაქმა ვერ მონახა სამოურავო კაცი, ამისთვის მთავრობამ თითონ დაუნიშნა ქალაქს მოურავი და მასთან დანარჩენი რაოდენობა ხმოსანთა, რომელზედაც აგრეთვე ვერ შეთანხმებულიყვნენ პეტერბურგის მეკენჭეები. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს რაოდენობა ხმოსანთა შეადგენს სწორედ ნახევარს იმისას, რაც საჭირო იყო არჩეულ ყოფილიყო კანონით.

თითონ ქალაქის საქმეებისათვის ეს სრულიად თანასწორია—მართებლობა დანიშნავდა ბ-ნ რატკოვროჟნოვს პეტერბურგის მოურავად, თუ არჩეულ იქმნებოდა იგი ამავე თანამდებობაზედ საბჭოსაგან. ქ საყურადღებო მხოლოდ ის არის, რომ პეტერბურგის მცხოვრებლებმა გამოიჩინეს სრული უსუსურობა და მოუმზადებლობა ქალაქის თვით-მმართველობისათვის. და ეს მით უფრო გასაკვირველია, რადგანაც პეტერბურგს ყოველი ნიშანი და გარეგნობა ევროპიულის ქალაქისა აქვს.

მაგრამ, როდესაც საქმეზედ მიდგა და საჭირო იყო ხალხს თავისი განაჩენი გამოეთქვა, მაშინ იგი უძლური და უღონო შეიქმნა და მცირეოდნადაც ველარ უშველა მას მდიდარმა და მშვენიერმა პეტერბურგის გარეგნობამ.

ეს სამწუხარო შემთხვევა, რასაკვირველია, კიდევ უფრო განამტკიცებს იმ რუსეთის დასს, რომელიც ყოველთვის ამტკიცებდა და დღესაც იმ აზრს ადგას, რომ „თვით-მმართველობა ხალხს არ შეუძლიან, იგია ბავშვი, რომელსაც მართებლობის მოვლა და ჭირისუფლობა სჭირია მარადჟამს“.

ამასთან, თუ ისიც მოიხსენეს, რომ ამ უკანასკნელს დროს ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებში, ყველა პარლამენტებში დიდი უწესოება, ლანძღვა და ცემატყეპა იმართებმა, მაშინ ხომ ის აზრი, რომ „დროა შევჩერდეთ“-ო, სრულიად გათავებულად და ბეჭედ დასასმელად მზად იქნება.

თუმცა ამ გვარი განაჩენი ერის ნიჭზედ, რომ იგი ვერ მოიხმარს თავისუფლებას, ერთისა და ორის უბედურის მაგალითით არ დამტკიცდება, მაგრამ ერთი-კი უნდა ითქვას: ამ ბოლოს დროს თვით-მმართველობას როგორღაც ცუდი ხანა დაუდგა.

საგულისხმო იყო, რომ რაც ხალხი მომეტებულად განვითარდებოდა, იმის-და გვარად სამართლიან დამოკიდებულობის გრძნობა და სიყვარული კაცთა შორის უფრო მჭიდროდ მოიდგამდა ფეხს. მაგრამ, სამწუხაროდ, პროგრესსის ისტორია ამას როდი გვიჩვენებს. ის-კი არა, რაც დღე მოდის, ცუდსა და მავნებელს გრძნობებს სულ უფრო და უფრო მომეტებული ალაგი ეთმობა ძ თუ ადამიანები ჯერ კიდევ ერთმანერთს არა სჭამენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ნაირს საქციელს კანონი სატიკად სჯის.

მაგრამ ჩვენ ერთობ განვშორდით საგანს, დღევანდელის საუბრისას. პეტერბურგის დაუჯერებელ ამბავში ჩვენ ერთი რამ არ გვესმის და უნდა ვსთქვათ, ვერც წარმოგვიდგენია, როგორ მოუვიდათ რუსეთის სატახტო ქალაქის პატივცემულ მოღვაწეთ, საქმე იქამდის მიეყვანათ, რომ დაენახვებინათ ქვეყნისათვის, რუსეთის უპირველესი ქალაქი თვითონ ვერ მოუვლის თავის თავს და მართებლობის აპეკა სჭირიაო? ამ საქმეში ისეთი საგანი შეიქმნა შეფერხებული ძ დაეჭვებული, რომლისთვის ერთხელ კი არა, ათჯერაც რომ გაშავებულიყვნენ ქალაქის სამოურავო კანდიდატები, ისა სჯობდა. მაგრამ წვრილმანმა თავმოყვარეობამ მეთაურებისამ და გაშავების შიშმა ყველაფერსა სძლია და სასოწარკვეთილებით წარმოათქმევინა პეტერბურგის მცხოვრებთა: „გვიშველეთ, გვიპატრონეთ, ჩვენ უძლურნი და უსუსურნი ვართ!“ მართებლობამ, რასაკვირველია, შეისმინა ესეთი ვედრება, მაგრამ არა გვგონია, რუსეთის განათლების მეგობართა და გულის შემატკივართა მადლობა მოახსენონ მოურაობაზედ დასახელებულ კანდიდატებს, რომ მათ არ ინებეს კენჭის ყრა და დაამტკიცეს ის აზრი, რომელიც მრავალჯერ იყო გამოთქმული: „რუსეთის ხალხისთვის თვით-მმართველობა ჯერ ადრე არისო“. შეცოდება ხალხის წინაშე ძნელია, მაგრამ, როდესაც შეცოდება დანაშაულადაც გადაიქცევა, მაშინ საეჭვოა, საზოგადოებამ ადვილად აპატიოს იმათ, რომელთაც შეეძლოთ ეხსნათ სახელი და პატივი თავის ქალაქისა, მაგრამ არ ისურვეს!

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს დააარსოს სახაზინო სარდაფები, სადაც მცოდნე მოხელენი დააყენებენ ღვინოებს, გარეშე კაცმა რომ მიიტანოს, მევენახემ ანუ ღვინით მოვაჭრემ.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროს კონტროლერად დანიშნულ იქმნა, ბ ნ ჟელაბუჟსკის მაგიერ, ბ-ნი ნანოევი, რომელიც ეხლა თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგება.

*** ინჟენერს ტ. ი. აკორენკოს, რომელსაც, სხვათა შორის, მინდობილი ჰქონდა იმ ადგილების გამოკვლევა, საითაც კახეთის რკინის გზამ უნდა გაიაროს, უკვე გაუთავებია თავისი საქმე. სოფ. მცხეთიდგან დაწყებული ჰალაუბნამდე ადგილობრივ ყველაფერი გამოუკვლევია, სად ძ რა რიგად უნდა გაკეთდეს ლიანდაგი, ხიდი და სხვ. ბ ნ აკორენკოს გამოანგარიშებით, რკინის გზის თითო ვერსის გაკეთება ყოველ კუთვნილობით და საჭირო შენობების აგებით დაჯდება 22,000—25,000 მან.

სამოცის ვერსის მანძილი უკვე გამოკვლეულია. სასურველია, რომ დანარჩენიც (სამი მეხუთედი-ღა რჩება) მალე გათავებულიყოს.

*** ბორჯომის რკინის გზის შტო, როგორც ამბობენ, გაყვანილ იქმნება შემდეგში ყარსამდე. ამ წლის დამლევამდე გამოკვლეულ იქნება ის ადგილები, ბორჯომიდგან ახალციხემდის, სადაც შტომ უნდა გაიაროს.

*** ტფილისის ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარედ ცნობილ იქმნება მ. ი. ანანოვი. რადგანაც არჩევანებზე ბ-ნ ანანოვსა და პ. ი. ალიბეგოვს ერთის რაოდენობის კენჭი ამოუვიდათ, და არ იცოდნენ უპირატესობა მათგან ვისთვის მიეცათ, გუბერნიის მთავრობამ მისწერა, წილი იყარეთო. მართლაც, წილი იყარეს და თავმჯდომარის ადგილი ბ-ნ ანანოვს ერგო.

*** პეტერბურგის საჰიგიენო გამოფენას მაღალი ჯილდო მიუცია დ. ზ. სარაჯიშვილისათვის, რომელსაც თავის სპირტისა და მაგარ სასმელების ქარხნის ნაწარმოები გაუგზავნია გამოფენაზედ.

*** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულთა გამგებლობის უფროსი ი. ს. ხატისოვი სოფ. ახალქალაქს გაემგზავრა, გორის მაზრაში, სახელმწიფო მამულების დასათვალიერებლად და სარევიზიოდ.

*** ოფიციალურად აუწყებენ გაზ. „Каспий“-ს, რომ არც ქალაქ ბა-

## ფელეტონი

—

### ჭეშმარიტი სიყვარული

(ფრანგულით)

ჟუძღვნი თავად დიმიტრი ერისთავს

მარკიზ დე-ბერტრანის დარბაზში სადილი გათავდა. მოსადილენი—თერთმეტი სტუმარი, რომლებსაც ყოველ წელს მიიწვევდა ხოლმე მარკიზი სანადიროდ თავის სხვა-და-სხვა ნადირით სავსე ტყეში, რვა ახალგაზრდა ქალი და მოხუცებული ექიმი მახლობელ დაბიდამ ჩამოსული,—დინჯად საუბრობდნენ. ლაპარაკი ჩამოვარდა სიყვარულზე.

რამდენად ხანგრძლივია სიყვარული?

ამის გამო სხვა-და-სხვა აზრი წარმოითქვა და თავის აზრის დასაბუთებლად ყველას მოჰყავდა მაგალითი. სხვათა შორის, ისეთი კაცებიც დაასახელეს, რომელთაც მხოლოდ ერთხელ ჰყვარებიათ მთელს სიცოცხლეში და ზოგს უიმედო სიყვარულის გამო თვის სიცოცხლეც მოუსპია.

ქალები იმ აზრისანი იყვნენ, რომ ვისაც პირველი სიყვარული გამოუცდია, მისთვის შესაძლებელია მეორე და მესამე ისეთივე მხურვალე და ჭეშმარიტი სიყვარული. კაცები-კი ამტკიცებდნენ, რომ ჭეშმარიტი სიყვარული აღარ განმეორდება და რამდენჯერმე სიყვარული მხოლოდ ზოგიერთს ქალებს შეუძლიანთო.

ეს ტემპერამენტზეა დამოკიდებული, ჩაურთო სიტყვა ექიმმა, რომელსაც განსაკუთრებულის პატივისცემით და ყურიდღებით ეპყრობოდა დიასახლისი. მე ვიცი ისეთი მაგალითი სიყვარულისა, რომელიც ორმოც-დაათ წელიწადს არ გამქრალა და მხოლოდ სიკვდილმა მოუღო ბოლო.

— ეგ კარგია!—გააწყვეტინა სიტყვა მარკიზამ,—რა ბედნიერი ყოფილა ის, ვინც ამ რიგად უყვარდათ,

— დიაღ, ეს საყვარელი არსება, დედაკაცი იყო. თქვენ, ბატონო, იცნობთ იმას,—ის ჩვენის დაბის ნოტარიუსის ცოლია, ქ-ნი შოკე. არა ნაკლებად იცნობდი მოხცებულ მამონს, რომელიც სოფლიდან სოფლად დაეთრევა, ჰილოფის სკამებსა სწნავს და წელიწადში ერთხელ ამ დაბაშიაც მოდის ხოლმე.

ქალებმა ცხვირი აიფხიკეს, როცა გაიგონეს ვიღაც გლეხის მამონის სახელი, რომელიც სამუშაოდ დატანტალებს, თითქოს სიყვარული მხოლოდ მაღალ საზოგადოების კუთვნილება იყოს. ექიმმა განაგრძო.

— სამი თვეა მას აქეთ, რაც მე მიმიპატიჟეს მასთან... მე ვნახე ის ღარიბს სასტუმროში, სადაც ერთის დღის წინ მითრეულიყო თავის ჯაგლაგ-ბედაურით. მის მახლობლად ორი ერთგული მისი ამხანაგი დავინახე... ძაღლები. როცა დავრწმუნდი, რომ მისი უკანასკნელი საათი მალე დაჰკრავდა, მე ვუბრძანე მღვდელი მოეწვიათ.

და, აი, ჩვენს წინაშე მან გამოაცხადა თავისი უკანასკნელი სურვილი და გვიამბო თავის ცხოვრების ისტორია.

მისი დედ-მამა იმავე ხელობისა ყოფილა. ძონძებში გამოხვეული ბალანა თან დასდევდა და, როცა ისინი გაჩერდებოდენ რომლისამე სოფლისა ან დაბის მახლობლად, მაშინ ბავშვს გზავნიდნენ გასაგებად, სამუშაო ხომ არა არის-რაო.

თუ ის ხანდის-ხან ბავშვებს გამოეთამაშებოდა და ამ მიზეზით დაიგვიანებდა, ვაი შენს მტერს, მამა მრისხანე და ზავთიან ყვირილით მიეგებებოდა: „რად დაიგვიანე, შეწყეულო ზღარბო“. სხვა ამის მეტი ალერსი მას მთელს სიცოცხლეში არ გაუგონია. ხანდის-ხან-კი გულმოწყალე ქალბატონები ორის გროშით დაასაჩუქრებდნენ ხოლმე მას და ფულებს კრძალვით მოჰკიდებდა ხელს.

თერთმეტის წლისა იქნებოდა, როცა ერთხელ დაინახა სასაფლაოს მახლობლად ერთი პატარა ქალი, რომელიც სტიროდა. ძალიან გაუკვირდა, რომ შეძლებულის დედ-მამის შვილსაც ჰქონია რამ სამწუხარო და, როცა შეიტყო, რომ მეორე ყმაწვილს მისთვის ორი სუ წაურთმევია, აიღო და მთლად თავისი შეძლება—შვიდი სუ მტირალს ჩაუდო ხელში. ქალმა გამოართვა ის ცალის ხელ-ით და მეორეთი-კი ცრემლებს იწმენდდა. სიხარულით არ იცოდა, რა ექმნა, რა-კი დაიხსნა პატარა ქალი მწუხარებისაგან. ის მხურვალედ გადეხვია, აკოცა და, რა შეატყო, რომ ის ამაზედ არა ჯავრობდა, კიდევ განმეორებით აკოცა და მხოლოდ მაშინ მოშორდა.

ვინ იცის, რა ტრიალებდა იმ დროს საწყალ პატარა მატანტალის თავში. ეს კოცნა დასაწყისი იყო სიყვარულისა, რომელიც მთელს სიცოცხლეში მან გულში ატარა? თუ უბრალო სიხარული, გამოწვეული თვის ქველმოქმედებით? ვის შეუძლია ეს გამოიცნას?

იმ დღიდგან ის მხოლოდ იმ პატარა ქალზე ჰფიქრობდა და იმ კუთხეზედ სასაფლაოს მახლობლად, სადაც პირველად ის დაინახა. შემდეგ ამისა ის ყოველ წლივ დადიოდა სასაფლაოს მახლობლად, მაგრამ მას-კი ველარსად შეხვდა. კარგა ხანს შემდეგ, ერთხელ თვალი მოჰკრა მას, ბავშვებში მოთამაშეს.

მივარდა, გადაეხვია და ისე მაგრად დაუწყო კოცნა, რომ ყმაწვილმა ტირილი მორთო. დასამშვიდებლად მისცა მას მთელი მისი სიმდიდრე—სამი ფრანკი და ოცი სანტიმი. პატარა ქალმა დახედა ფულებს, ჩაიდო ჯიბეში და მერმე კოცნა აღარ დაუშალა. შემდეგ, ოთხის წლის განმავლობაში, უზიდავდა მას მთელს თავის მონაგარს და სამაგიეროდ ალერსის ნებას ღებულობდა. ერთხელ როგორღაც მან მიუტანა ოცდა-ათი სუ, მეორედ—ორი ფრანკი, მერმე თორმეტი სუ, რადგანაც მუშაობა ნაკლები იყო, და ბოლოს მთელი ხუთ-ფრანკიანი მიართვა, რომელიც

ქიში და არც მის გუბერნიაში საეჭვო სენით აღარავინ გამხდარა ავად 12-იდგან 24 ივლისამდე.

*** ამას წინად ჩვენ გაზეთში გვქონდა მოხსენებული, რომ სოფ. მეჯვრისხევიდგან (გორის მაზრა) წამოსულ ებრაელს შავთიშვილს უკან დაედევნენ ყაჩაღები და გაძარცვეს 10 ივნისს, საღამოს. ამ დღეებში ცხინვალის ბოქაულს უკვე შეუპყრია ერთი დამნაშავეთაგანი სოფ. რეხაში. დამნაშავე რეხელი ყოფილა, გვარად ფილიშვილი, და თავის სახლში დაუჭერიათ.

*** 28 ივლისს საეჭვო ავადმყოფობით ავად გახდა რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოში მომუშავე ხელოსანი—მღებარი არსენ ბაბაჯანოვი, რომელიც სცხოვრობს დიდუბეში, ალიშეიდანოვის სახლში. ავადმყოფი წამოიყვანეს რკინის გზის მართველობის-მიერ ხოლერიან ავადმყოფთათვის გამართულ ფარდულში. ავადმყოფი გასინჯეს სამკურნალოს საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიაში და ხოლერიანი აღმოჩნდა.

*** ს. ტანძიაში (ბორჩალოს მზრა) თ. გიორგი ჯამბაკურ-ორბელიანს განუახებია ძველი ეკკლესია, თლილის ქვით აშენებული მე-11 საუკუნეში.

ეს განახლებული ეკკლესია უკურთხებიათ 22 ივლისს. თავ. ორბელიანს ნამდვილი ქართველური მასპინძლობა გაუწევია, როგორც მაღალწოდების სტუმართათვის, ისე ხალხისათვის. აქ ნახავდით ჯგუ-ჯგუფად ქართველთ, სომეხთ, ნემცებს, თათრებს და სხვა. ამოდონა ხალხს ორ დღეს უქეიფნია. ზურნა, დუდუკი, არღანი განუწყვეტლივ უკრავდა. გამართულა ჯირითი, თოფის სროლა. უკეთესს მოჯირითე და მსროლელთათვის ჯილდო ყოფილა დანიშნული—თითო ვერცხლის ჭიქა და აზარფეშა.

*** სად. ნიგოითი: 26 ივლისს, დილის 5 საათზედ, სადგურის წინ ჟანდარმმა იპოვა ცოცხალ-მკვდარი 20—21 წლის კაცი.

ეკითხებოდნენ ვინაობას, მაგრამ იმის თავი არა ჰქონდა, სულსაც ძლივს ითქვამდა. არავინ არ იცის, მატარებლიდამ ჩამოვარდა, თუ სხვა რამე მოუვიდა. სადგურის უფროსის სიტყვით, მიაყვანეს იქვე ახლო დუქანში და დააწვინეს. ფერშალი მოიყვანეს, მაგრამ ვერა უშველა-რა. ათს საათზე სული დალია. ნათესავი არავინ არ გამოუჩნდა და არც ნაცნობი.

*** იქიდამკე: აქ წვიმის მოუსვლელობის გამო დიდად შეწუხებული ვიყავით. 25 ივლისს-კი მოვიდა წვიმა და წვიმას თან მოჰყვა სეტყვა. ჯერ არ ვიცით კიდევ, სად რა ზარალია.

*** ქიურდამირი: 28 ივლისს, დილის 5 საათზე 40 წ. სახალხო მატარებლის ქვეშ ჩავარდა და გაისრისა სალიმ-ადაჟი-ისმაილ-ოღლი.

*** 27 ივლისს პოლიციის მეცხრე ნაწილში სასანიტარო კომისიამ დაათვალიერა სავაჭრო დუქნები და ტრახტირები და ბევრს ალაგას აღმოაჩინა და გადააყრევინა უვარგისი ხილი და სანოვაგე. ერთი ტრახტირის პატრონი ნიკოლოზ სარქისოვი პასუხის გებაშიაც მისცეს.

*** ამავე დღეს ტფილისის მცხოვრებელი გრიგოლ ზურაბოვი წაეჩხუბა კავკავის მცხოვრებელს გასათხოვარს ქალს ევგენი სევრიუკოვს და დამბაჩა ესროლა. დაჭრილი სამკურნალოში წაიყვანეს. დამნაშავეს დაეძებენ.

*** 27 ივლისს ინჟენერმა ალექსანდრე ვატინმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ „სევერნი“ სასტუმროში 600 მან. და ბანკის ორი ბილეთი მომპარესო. პოლიციელმა ვისოცკიმ გასჩხრიკა ყველა იქ მოსამსახურენი. ფულიც და ბილეთიც უპოვნა იუბკაში შენახული ვატინისავე მოსამსახურეს სამარის გუბერნიის მცხოვრებელს ანისია ვიროზევს. მასვე აღმოაჩნდა ვატინისაგან მოპარული ნივთეულობა 100 მან. ღირებული. დედაკაცმა თავისი დანაშაული აღიარა.

*** ამავე დღეს თივის მოედანთან ვიღაც შეხედულობით 30 წლის კაცმა ტანისამოსი გაიხადა, მტკვარში გადავარდა და თავი დაირჩო. დამრჩვალის გვამი ავლაბრის ხიდთან ამოიღეს.

*** 27 ივლისს პოლიციამ დიდუბეში შეიპყრო ცოფიანი კაცი სოფ. მამკოდის მცხოვრებელი გიგო სახონელიძე. სახონელიძე ამ ოც და-შვიდის დღის წინად სოფ. მამკოდაში ცოფიან მგელს დაუკბენია და ეს ამბავი არავისთვის არ შეუტყობინებია. თავს კარგად გრძნობდა და გუტბროტის ლუდის ქარხანაში მუშაობდა. 27 ამ თთვისას უეცრად გაცოფიანდა. სახონელიძე სამკურნალოში გაჰგზავნეს. დაჭერის დროს არავინ დაუშავებია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რაჭა. როგორც ეტობა, წლევანდელი წელიწადი კარგ იმედებს ვერ გვიქადის. ჯერ იყო და დიდმა ზამთარმა შეგვავიწროვა, ძლივს მოვიშორეთ თავიდან. გაზაფხული ძლიერ ცივი იყო და სიმინდი არ გაიზარდა, მთის სოფლებში კიდევაც გაყვითლდა. ქვიანსა და მზის გულ ადგილებში სული ახმა; სულ რომ იწვიმოს, მაინც არა ეშველება-რა. ნეტავი ჩალად მაინც ივარგებდეს. 16—17 ივლისს მთებში მოვიდა წვიმა და ცოტა მათ კალთებ ქვეშ მდებარე სოფლებსაც ერგო, მაგრამ მაინც არა ეშველა რა, რადგან ისევ ძლიერ სიცხეები დადგა და თან ქარიც დაჰყვა; ცვარი რომ ჰქონდეს ღამით, კიდევ კარგი, მაგრამ ქარი არ ანებებს. პურებიც ცუდია, ბალახს თავი ვერ წაართვა. თხელი იყო და ბოლოს სიცხემ მოასწრაფა.

ვენახი კარგად არის, მაგრამ ნაავათმყოფარ ვაზს ძლიერ ცოტა ასხია. ბევრმა უწამლო და ნაწამლი სჯობია; ეხლა-კი აღარ ეჭვობენ ვენახის წამლობას და თითქმის ყველანი მოწადინებულნი არიან უწამლონ თავის ვენახებს.

ხეხილებიც არ ვარგა, არ ასხია, ფოთოლი მატლისაგან აქვს გამოჭმული და გამხმარი.

ამ ნაირად აქ გვალვაა და, თუ ამ მოკლე ხანში წვიმა არ გვეღირსა, სწორედ მთელ მაზრას განსაცდელი მოელის და ეს განსაცდელი გაორკეცდება, თუ იმერეთშიც არა მოვიდა-რა, როგორც ამბობენ იქაურები.

თუმცა ასე საეჭვოდ არის ჩვენი საქმე წელს, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვუფიქრდებით ჩვენს მდგომარეობას. დღეობებზე არ დაგიდევენ მოუსავლობას. ბედელი ღიაა, ქურებიც თავ-ახდილია და ეძლევიან უზომო ხარჯს. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. კაცის იარაღით დაჭრა-დასახიჩრება, კეტებით თავის მტვრევა და კაცის კვლა რაღაა? ეს ღვინის ბრალია. ჯერ არც ერთ დღესასწაულს არ ჩაუვლია უჩხუბრად და უხიფათოდ. 9 მაისს ნიკოლოზობას ს. ნიკორწმინდაში დაჭრილი ხოტეველი გლეხი 8 ივლისს გარდაიცვალა; ამ გვარი მაგალითები ხშირია, მაგრამ ვინ არის პატრონი, დამრიგებელი და გზის მაჩვენებელი, რომ დღეობებზე უბედურება არ მოხდეს და მშვიდობა იქმნეს დამყარებული.

უწერის წყლებზე წელს მოაგარაკეები ბლომად არის. როგორც იყო „ივერიაში“ ნაამბობი, ეხლა უწინდელზე გაცილებით კარგად არის მოწყობილი უწერა. სახლებიც კარგი და სუფთაა და საჭმელებიც კარგი მზადდება სასტუმროების კვალობაზე. მოაგარაკე ეხლა ადვილად იშოვის ყველაფერს, თუმცა ცოტა ძვირია. ახლად აგებულ სახლში ღამის თხელი კედლებია და ერთ ოთახიდამ მეორეში ჩურჩული მოისმის. ამის გამო ავათმყოფები ვერ არიან მოსვენებული, როგორც მათ ეჭირვებათ; ნამეტურ როდესაც რომელსამე ნომერში ნაცნობები თავს იყრიან სადილად—საქეიფოდ, სათამაშოდ—გასართობად. არ იქნება ურიგო, რომ პოლიცია თვალს ადევნებდეს ყველა სადგომებს და წესიერებას იცავდეს; ავადმყოფები მოსარჩენად მოდიან და არა უფრო დასაავადმყოფებლად.

მჟავე წყლებზედაც ერთი ნაკლი მეტად საგრძნობელია: არც გაზეთი და არც წიგნები არ არის, რომ ავადმყოფმა და მათთან მოსულ კარგამყოფმა გული მაინც გააყოლონ. რომ დაინახავენ გაზეთს ან წიგნს, „ერთმანეთს სტაცებენ ხელიდამ. გაყიდვითაც-კი გაიყიდება წიგნები, თუ ვინმე იკისრებს და მოიტანს წიგნებს გასაყიდად. ერთმა რამდენიმე ეგზემპლიარი „სვანური ზღაპრები“ და „ვილჰელმ ტელი“ მოიტანა და ერთ წამს დაიტაცეს. კარგი იქნება გამომცემლისათვისაც, რომ ერთ კაცს მიანდობდეს წიგნების ყიდვას და ამ ნაირად სხვა უწესო გართობის ნაცვლად გონების გასართობს გააჩენდნენ.

## წერილი მაჭახლიდგან

(დასასრული *)

მავნე ხოჯა მოლების მეოხებით, აქეთა მხრის ქართველებში ორის ცოლის შერთვა გახშირებულა. მაჭახლის ქართველი ქალები ისე არა სწუხან ამაზე, როგორც აჭარისა და სხვაგან. ამას გარდა, აქ მოხდა შემდეგი: ერთი ქვრივი ქალი ქვრივმა კაცმა შეირთო და ამ კაცმა თავისი გერი—ქალი თავის პირველ ცოლის შვილს მისცა ცოლად. ამას აჭარელნი ადვილად ვერ გაბედვენ, ქალები არ იზმენ. აქედამ მექქაშიაც ხშირად მიდიან. რაც შეეხება მუშაობას, აქაც ისევე მცირედ მუშაობენ, როგორც სხვა მაჰმადიანი ქართველნი. ესენი უფრო ღარიბები არიან, რადგანაც ამათი მხარე უფრო მივარდნილი მხარეა და ყველაფერი ძნელი გასასაღებელი.

მაჭახელში ძველ გვარებად იცნობებიან: ქავთარაძეები, ძნელაძეები, კახიძეები, ჩოხაძე, ყიფიანი, კეჟერაშვილი, ზაქარიაძეები, თურმანიძეები და სხვანი. ამათ გარდა კაცი კიდევ სხვა ძველ გვარებს შეხვდება აქეთ. ყველა ესენი ფანატიკები არიან და ამ მხრივ თვით ნამდვილს თათრებსაც-კი გადააჭარბებენ. ქართვე-

*) იხ. «ივერია», № 159.

---

პატარა ქალს ერთობ მოეწონა.

შემდეგ-კი ველარა ნახა, რადგანაც დედ-მამამ ის გაეგზავნა სადღაც შორს, სასწავლებელში. მხოლოდ ორის წლის შემდეგ ჩამოვიდა კანიკულების დროს დედ-მამასთან დაბაში. ამ ხნის განმავლობაში ის ისე გალამაზებულიყო და გაზდილიყო, რომ ძლივს იცნა. ქალმა-კი სიამაყით და მედიდურად ჩაუარა მას გვერდით, თითქოს ვერ იცნობსო.

მთელი ორი დღე იტირა და სიკვდილამდის არ დავიწყებია ეს შეურაცხყოფა.

მიუხედავად ამისა, ყოველ წელიწადს გაივლიდა ხოლმე იმ დაბაში, რომ ერთხელ თვალი მაინც მოეკრა, ქალი სრულებით ყურადღებას არ აქცევდა. თითონ-კი ვერ გაებედნა გამოსცნობოდა.

ეს ერთად ერთი ქალია, რომელიც მე ვნახე დედამიწაზე, ამბობდა ის,—სხვები, არც-კი ვიცი კარგად, არსებობენ თუ არა ქვეყანაზედ.

დედ-მამა დაეხოცა და მან ისევ განაგრძო თავისი ხელობა. როდესაც მან კიდევ გამოიარა დაბაში, საითკენაც მას გული ეწეოდა დაინახა თვისი სატრფო, ხელ-ხელ გაყრილი ვიღაც კაცთან დასეირნობდა. შეიტყო, რომ ეს მისი ქმარი არის, ბ-ნი შოკე. საღამოს საშინელ დიდს ტბაში გადავარდა, საიდანაც ცოცხალ მკვდარი გამოათრიეს და აფთიაქში ძლივს მოაბრუნეს.

ამ რიგად მიმდინარეობდა მთელი მისი ცხოვრება. ერთ ქალაქიდან მეორეში გადავიდა სამუშაოდ და წელიწადში ერთხელ უსათუოდ გაივლიდა იმ დაბაში. ხანდისხან მოიგონებდა, ნოტარიუსთან საქმე მაქვსო, და ამ მიზეზით შედიოდა იმათს სახლში და ერთი მისი დანახვა ერთს წელიწადს კმაროდა მისთვის.

რა დაასრულა გულსაკლავი ისტორია თავის ცხოვრებისა, მთხოვა გარდამეცა მისთვის, ვინც საშინლად უყვარდა: მთელი მისი ქონება. „დეე, მან ჩემს სიკვდილს შემდეგ მაინც გაიხსენოს ის ადამიანი, რომელიც თავის თავს ყველაფერში უარს ეუბნებოდა და მუშაობდა მხოლოდ მისთვის“.

ამ სიტყვებთან მან გარდმომცა მე 2327 ფრანკი და სამუდამოდ დახუჭა თვალები.

ამ ფულებიდან მე მივეცი 27 ფრანკი მღვდელს დამარხვისთვის და დანრჩენი თან წამოვიღე.

მეორე დღეს შოკესთან წაველი. ცოლ-ქმარი საუზმობდნენ წამოწითლებულნი და მხიარულნი, როგორც საზოგადოდ ყველაფრით ბედნიერი ადამიანები. მე მიმიწვიეს საუზმეზე და, სანამ საჭმელს შევექცევოდით, მოვყევი საწყალ მამონის ამბავს და იმედი მქონდა, რომ მისი სიბრალული ვისისამე თვალში ცრემლებს გამოიწვევს.

მე შევცდი. ნოტარიუსი ისე გაჯავრდა, რომ დორბლები წამოჰყარა პირიდგან: როგორ გაჰბედა ვიღაც მოტანტალე მუშამ მის ცოლისადმი სიყვარულის გამოცხადებაო. ცოლიც მეტის სიბრაზისაგან სიტყვას ველარ ახერხებდა და მხოლოდ ამას იმეორებდა:

ის მატანტალა! უყურეთ და, ბატონო, იმ მატანტალას!

— რას იტყვით ამაზე თქვენ, ექიმო? აი ბრიყვი ბერიკაცი! ეს, რომ შემეტყო პოლიციელებს ვუბრძანებდი, რომ გაეგდოთ ჩვენის სოფლიდან.

აი ნამდვილი პირუტყვები, ვიფიქრე გულში, მაგრამ პირად-კი ვერ ვუთხარი და მინდოდა, ამ საძაგელს ხალხს მალე გავშორებოდი, და გადავსწყვიტე გამომეცხადებინა უკანასკნელი სურვილიც განსვენებულისა და მორიდებით დავუწყე:

მან მომანდო მე ამასთანავე გადმოგცეთ თქვენ მთელი მისი შეძლება —2300 ფრანკი. შემდეგ ამისა, რაც მე თქვენგან გავიგონე, ვფიქრობ, რომ თქვენ ამ ფულებს აღარ მიიღებთ, მუშისაგან დატოვებულს, და ამისთვის კარგი იქნება, თუ ამ ფულებს ღარიბებს შევსწირავთ.

პატივცემულმა ცოლქმარმა განცვიფრებით შეჰხედეს ერთმანეთს და მე უკვე ამოვიღე დაძველებული მანათები.

— ჰმ... რასაკვირველია, თუ ასე იყო სურვილი განსვენებულისა,—დაიწყო პირველად ნატარიუსის მეუღლემ,—ჩემის აზრით, რომ არ მივიღოთ ეს ფულები, ჩვენ ურიგოდ მოვიქცევით.

— რასაკვირველია,—დაურთო ქმარმა; ამითი შეგვიძლია ბავშვებს ვუყიდოთ რამე.

— ნამდვილია,—ბანი მივეცი მეც ირონიით.

— მაშ გვიბოძეთ,—ჩვენ ვეცდებით კეთილად მოვიხმაროთ ეგ ფულები.

მე გადავეცი ფულები, ცივად გამოვეთხოვე ამ პატივცემულ გვამთ და წამოვედი.

მეორე დღეს ქ-ნი შოკე გამოცხადდა ჩემთან და მაშინვე ურცხვად ასე დაიწყო:

— მან, განსვენებულმან, დასტოვა ვგონებ კიდევ ერთი ურემი? ვინ წაიღო ის?

— შეგიძლიანთ წაიღოთ,—ვუთხარი მე.

— ძალიან კარგი, მე ის ძლიერ მჭირდება.

წასვლა დააპირა, მაგრამ გავაჩერე.

— კიდევ დარჩა მას ორი ძაღლი და ერთი ჯაგლაგი ცხენი,—შეიძლება თქვენ ისინიც წაიყვანოთ?

—არა, ისინი მე რად მინდა? თქვენ როგორც გსურდეთ, ისე მოიხმარეთ.

ამ სიტყვების თქმაზე გაიღიმა და ხელი მომაწოდა. ზიზღით გამოვართვი, თუმცა მინდოდა არ გამომერთმია. მაგრამ... რას იზამთ... პატარა, ყრუ დაბაში ერთი ოჯახის მომდურებაც ბევრს ნიშნავს.

ის ორი ძაღლი მე წავიყვანე და ჯაგლაგი ცხენი-კი მღვდელს გარდავეცი სამადლოდ ეკვება.

შოკემ იყიდა ხუთი რკინის გზის ობლიგაცია.

— ეს იყო ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყვარული, რომელიც მე მინახავს ჩემს ცხოვრებაში.

თვალ-ცრემლიანმა მარკიზამაც დამატა:

— სწორედ ნამდვილი სიყვარულია.

ვინმე

ლობა მოხუცებულებს ჭირივით სძულთ. ახალგაზდებშიაც სთესვენ ამ სიძულვილს, მაგრამ ძველებურად-კი ვეღარ. თუმცა ბევრს ამ გვარ მოხუცებულთ და ხოჯა-მოლლებს ძლიერ ეწყინათ მაჰახელში ქართულ წიგნების მიტანა, მაგრამ მაინც ამ ხნიერ პირთ წინაშე მოურიდებლად გამოჩნდნენ ბევრნი ისეთი ახალგაზდები, რომლებიც დიდის ხვეწნით შემუდარებოდნენ მათ სოფლებში წასვლას და ანბანის სწავლებას. მე ბევრს ვერ შევუსრულე თხოვნა, რადგანაც გარემოება ნებას არ მაძლევდა. ამათ დამავალეს, რომ ეგები მერმის მაინც ამოგვიგზანოთ ისეთი ვინმე, რომ ჩვენც წერა-კითხვა გვასწავლოსო. მე პირობა მივეცი. სხვათა შორის ხერთვისის მამასახლისმა მე დიდის ხვეწნით მთხოვა ანბანის სწავლება. ამასაც ძლიერ გაეხარდა ის ამბავი, რომ აქ ზაფხულში ამოვლენ ისეთი ყმაწვილები, რომლებიც ხალხს წერა-კითხვას ასწავლიან. სახლსა და ხარჯს ჩვენც მივსცემთო.

მაჰახელში დღეს ირიცხება 35 სოფელზედ მეტი. 1, გვარა, 2, ქედ-ქედი, 3, ჰონიური, 4, აჰარის ალმუხთი, 5, ცხემლანი, 6, ჩუკუნეთი, 7, ჩხუტუნეთი, 8, ხერთვისი, 9, პატარა ხერთვისი, 10, მინდიეთი, 11, აგრია, 12, ევფრატი, 13, ქვაბის თავი, 14, ზედავაკე, 15, გორგაძეთი, 16, საფუტკრეთი, 17, სინდიეთი, 18, მაჰახლის-პირი, 19, კირნათი, 20, მაღლაკონი, 21 ჰალახმელა, 22 უჩახითი, 23 მილისი, 24, ძნელიეთი, 25, ბაზარეთი, 26, კახიეთი, 27—28 ნაქალაქევი, 29, ოჯიბაური, 30, გოშპარეთი, 31, კეჟერეთი, 32, ხინკალეთი, 33, კირკიტეთი, 34, საყანური, 35, გვიანეთი და სხვანიც მრავალნი. ზოგი სულ ცარიელია, გაოხრებული. თითო სოფელში 5—10 მოსახლეა; რაც უნდა ბევრი იქმნეს სოფელში მოსახლე, მაინც 40 კომლზე ზევით არ ავა. 1855 წ. სოფ. ძნელიეთის ახლოს ერთი დიდი უზარმაზარი „კლდე კვირკვინა“ მოხეთქილა და 30 კომლი დაუღუპავს და დაუნთქავს. ამათშივე დაქცეულა ის დიდი ჯამე, რომლის მასალისთვის ხერთვისისკენ ერთი დიდი ძველი ეკკლესია დააქციეს და ამ ეკკლესიის მასალით ეს ჯამე გაუკეთებიათ. ზოგიერთი მაჰმადიანები ამბობენ, რომ ამ კლდის მოხეთქა სულ იმ ეკკლესიის დაქცევის ცოდვით გვეწიაო. 10 სოფელი დავეხვიეთ და დღე და ღამე ვაქცევდით ჩვენის ფადიშახის ბრძანებითაო. აბა ძველს ეკკლესიასთან ჩვენ რა საქმე გვქონდაო.

ამას შემდეგ მაჰახელში ეკკლესიების ნგრევა-ქცევა შემცირებულა, მაგრამ რაღა დროს, როცა ყველაფერი პირქვე დაცემული იყო და დამხობილი. აქეთ ვერ ნახავთ ვერც ერთ პატარა სოფელს, გინდ 5—7 კომლი იყოს, რომ მას თავისი ჯამე არა ჰქონდეს და ხოჯა არ ჰყავდეს. ჯამეებს გვერდით ხოჯებს უბრალო სასწავლებლები აქვსთ და პატარა ქართველ მაჰმადიანთ ბავშებს არაბულს ასწავლიან. ხოჯები თურმე ბავშვებს ფანატიკობას პატარაობიდანვე უნერგავენ, თითქმის სკოლაში მისვლის პირველ დღიდამვე.

ხერთვისის სკოლაში ნამყოფმა ერთმა 17 წლის მაჰმადიანმა გვარად იაკობიძემ ქართულ ანბანს თათრული ანბანი მოუწერა და ამ სახით ქართული კითხვა სამ დღეში ისწავლა. ამათებური ბავშვები ძლიერ ცქვიტნი და მარდნი არიან. ორ-სამ წაკითხვით ესენი ანბანის კითხვას იხსომებენ. ამათ ზოგიერთ ალაგას ხოჯა-მოლლები და მოხუცებულებიც უშლიდნენ და აფრთხილებდნენ, ერიდეთ ქართულის კითხვასაო. მაგრამ ესენი მაინც არ იშლიდნენ, არ ერიდებოდნენ. მაჰახელში რომ ერთ ზაფხულს ორი მცოდნე ყმაწვილი ამოვიდეს და ბავშვებს კითხვა დააწყებინონ, მაშინ იმედია, რომ მთელს მაჰახელის ბავშვებში ქართული კითხვა მოიფინება.

ხერთვისის ჯამეზე მოხუცებულებმა და მოლამ ყმაწვილებს დაუყვირეს, ქართულს ნუ კიუხულობთ, თორემ რჯულიდამ გახვალთ, გაქრისტიანდებითო. ყმაწვილებმა ზედაც არ შეხედეს იმათ. ოთხმა ხუთმა ყმაწვილმა მითხრეს, ჩვენები ასე გვეუბნებიან: როგორც ქართულ წიგნის კითხვას დაისწავლით და კითხვას დაიწყებთ, მაშინვე გაქართველ-გაქრისტიანდებითო.

ერთ სოფლის ჯამეზე ერთმა მოხუცმა მაჰმადიანმა დაიჭირა რამდენიმე პატარა ბავშვი და ასე უთხრა.

— აი ეს ქითაბები და, თუ თქვენ კითხვა არ დაგისწავლიათ, მაშინ თავებს დაგაჭრითო. ისწავლეთ, ისწავლეთ. მთელს მაჰახელის მხარეს მხოლოდ ორი ხანში შესული კაცი ვნახე თანამგრძნობი ქართულის წერა-კითხვისა—ერთი ევფრატის მამასახლისი და მეორეც ზემოხსენებული მოხუცი. დანარჩენი სულ ახალგაზდებში მოიპოვებიან და აქ ერთმა ახალგაზდათაგანმა სთქვა:—ვიდრე ეს ბერი-კაცები არ დაიხოცებიან, მანამდის ჩვენ ვერას გავაწყობთო.

მაჰახლის გათათრების შესახებ ბევრი ცნობებია აქა-იქ დარჩომილი, მოხუცებულს ხალხში, მაგრამ ყველას ძლიერ ეშინიან ეს ამბები სხვებს უამბოს, ვაი თუ ამას ცუდი რამ შედეგი მოჰყვეს და ბოლოს გავქრისტიანდეთო. მაინც ერთ მოხუცებულ ძნელაძეთაგანმა ბევრი საინტერესო ცნობები მითხრა მათ გვარეულობის გათათრების შესახებ.

აქეთ ყველამ იცის კარგად, რომ ისინი წინად ქრისტიანები ყოფილან, რომ ყველა ისინი ენითა და შთამომავლობით ქართველები არიან, მაგრამ დღეს თათრები. ქართულად ლაპარაკობენ ქართულად მღერიან, სტირიან და ხმაურობენ და, როცა ქართულ ენისა და წერა-კითხვის შესახებ საუბარი იქმნება, მაშინ-კი ამათი მოხუცებულნი მოურიდებლივ ამბობენ, ქართული წიგნი და ენა რა საჭიროა ჩვენთვისაო, ჩვენ გვეშინიან ამით არ გავქრისტიანდეთო. თუ არ გადავდგებით სჯულიდამ, მაშინ-კი კაი იქმნება, რადგანაც ჩვენის ძველების ენა ქართული ენა არის და ჩვენც ქართულად ვლაპარაკობთო.

ზ. ჭ.

## რუსეთი

შარშან აკრძალული იყო რუსეთიდგან საზღვარ-გარედ ხორბლეულის გატანა. ამ გარემოებამ ძლიერ ცუდად იმოქმედა საზოგადოდ მთელს რუსეთის ხორბლეულის აღებ-მიცემობაზედ დასავლეთ ევროპაში და კერძოდ ოდესაზედ. რადგანაც რუსეთიდგან აღარ გაუტანიათ საზღვარ გარედ ხორბლეული, დასავლეთ ევროპამ სხვა მხარეს მიჰმართა და მომეტებულ ნაწილად სამხრეთ ამერიკიდგან ეზიდებოდა პურსა. თუმცა ეხლა რუსეთის მთავრობა სცდილობს კვლავ აღადგინოს უწინდელი ხორბლეულის აღებ-მიცემობა, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთის პურს ის ბაზარი აღარ ექმნება, რაც წინად ჰქონია. რუსეთის პურის მაზანდაც დამოკიდებული იქმნება პურის მოსავლიანობაზედ. თუ რამდენად მართალია ის გარემოება, რომ საზღვარ გარედ თითქმის აღარც-კი დასჭირდებათ რუსეთის პური, ამას ნათლად ჰლაპარაკობს სტატისტიკური ცნობა პურის აღებ-მიცემობისა ოდესაში. 1891 წ. ოდესიდგან გატანილ იქმნა საზღვარ გარედ 48 მილიონ ფუთამდე ხორბლეული, 1892 წელს კი მხოლოდ 28,700,000 ფუთი. საკუთრად პური 1891 წ. ოდესიდგან გატანილი იყო საზღვარ გარედ 47 მილიონი ფუთი, 1892 წელს კი ეს რიცხვი 9 მილიონ ფუთით შემცირდა. ეს შესამჩნევი დანაკლისია. ჭვავი გაუტანიათ 1891 წ. 5,900,000 ფუთი, მაშინ, როდესაც 1892 წელს მხოლოდ 1,300,000 ფუთი.

შვრია სულაც არ გაუტანიათ. ამ გვარადვე შემცირდა რიცხვი სხვა გაზიდულ ხორბლეულობისა. მომეტებულად ოდესიდგან მიჰქონდათ პური:

| | 1892 წ. | 1891 წ. |
|---|---|---|
| | ფ. | ფ. |
| ინგლისში | 13,000,000 | 37,000,000 |
| გიბრალტარში | 25,000,000 | 19,000,000 |
| ჰოლანდიაში | 4,500,000 | 15,000,000 |
| გერმანიაში | 3,000,000 | 8,500,000 |
| საფრანგეთში | 3,000,000 | 8,500,000 |
| იტალიაში | 2,000,000 | 4,000,000 |
| ბელგიაში | 1,600,000 | 8,750,000 |

ამერიკის შეერთებულ შტატების ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ამ წლის 30 ივნისამდე წარსულის წლის 30 ივნისიდგან ამერიკაში სულ 188,981,992 დოლარის ხორბლეულობა შეუტანიათ რუსეთიდგან, ხოლო წინა წელს-კი 288,925,000 დოლარისა, მაშასადამე, ამერიკაშიაც უკლია რუსეთის ხორბლეულს 99,943,008 დოლარით. უმთავრესი მიზეზი ამისა არის საზოგადოდ მაზანდის დაცემა ამერიკის ბაზარზედ ხორბლეულობისა. ძლიერ შემცირებულია აგრეთვე რიცხვი რუსეთიდგან გატანილ ბამბისა ამერიკაში. ამ საანგარიშო წელს მხოლოდ 180,177,042 დოლარის ბამბა გაუტანიათ ამერიკაში, მაშინ, როდესაც წინა წელს 250,055,598 დოლარისა. ასეთი საქმის ვითარება კარგს არას უქადის რუსეთის აღებ-მიცემობას.

## უცხოეთი

**ინგლისი.** მკითხველებმა უკვე იციან დეპეშიდგან, რომ ინგლისის საზოგადოებათა პალატაში ამას წინად ჩხუბი მოხდა. ასეთი ამბავი არასოდეს არ მომხდარა ინგლისის პარლამენტში. საღამოს 10 საათი სრულდებოდა. კამათობა უნდა გათავებულიყო და ხმები მოეკრიბათ. უკანასკნელად ლაპარაკობდა ჩემბერლენი. ჩემბერლენი ძლიერა ჰკიცხავდა ლიბერალებს, ყურმოჭრილი ყმები ხართ გლადსტონისაო. „პირველი მინისტრი ამბობს: ეს შავია;—ლიბერალები იძახიან: ძლიერ კარგიო. პირველი მინისტრი ამბობს: ეს თეთრია;—ლიბერალები იძახიან: ეგ უკეთესიო. გლადსტონის ხმა მათთვის ხმა ღვთისაა“. არასოდეს მეფე ჰეროდის დროს აქედ (ირლანდიელები ჰყვირიან: „იუდაო“) არც ერთს მეფეს არა ჰყოლია ასეთი მონები. ჩემბერლენმა სიტყვა დაამთავრა. მომხრეებმა, რასაკვირველია, ქება შეასხეს, ხოლო ლიბერალები დასცინოდნენ და ოხუჯობდნენ. გახდა 10 საათი. თავმჯდომარეს ხმები უნდა მოეკრიბა. ხმების მოკრების დროს პარლამენტის დარბაზიდგან ყველანი უნდა გავიდნენ. თავმჯდომარემ სთხოვა ყველას, დაბაზი დასტოვეთო, მაგრამ ოპოზიცია ადგილიდგან არ იძროდა. კონსერვატორმა ჯიბსმა ძლიერ იწყინა, ჩემბერლენს „იუდა“ რად დაუძახესო, და თავმჯდომარეს სთხოვდა, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეთო. ჯიბსის ხმა კარგად არ ისმოდა და ამიტომ თავმჯდომარეს მიუახლოვდა. ამ დროს გამოიარა ლიბერალმა ლოგონმა და შუა დარბაზში გაჩერდა. სრულიად დაავიწყდა, არც ერთს დეპუტატს უფლება არა აქვს დარბაზის შუაგულში დგომისა. კონსერვატორებმა ყველა მხრიდგან დაიძახეს: „Order! Order!“ ასე იძახიან ხოლმე ინგლისელები პალატაში, როცა ვინმე წესიერებას არღვევს. ლოგანმა ჯერ ვერ მიხვდა, რასა ჰყვირიანო. მაგრამ, როცა დეპუტატმა ფიშერმა კიდევ დაუყვირა: „Order“ ლოგონი გასწ გავიდა და უპასუხა ფიშერს, თქვენ თავმჯდომარე არა ხართ და თქვენი საქმე არ გახლავთ წესიერების დაცვაო“. ამ დროს დეპუტატმა კარსონმა რაღაც დაუყვირა. ლოგონმა ამასაც უპასუხა: მე თქვენ არ გელაპარაკებოდით და პასუხს რად მაძლევთო. კორსონმა ხელახლავ მიაძახა: დაიკარგეთ აქედგან, აქ დგომის უფლება არა გაქვთო. მაშ აქ დავჯდები და მაშინ უფლება მექმნებაო, უპასუხა ლოგონმა და სკამზედ დაჯდა კარსონთან. დეპუტატებმა ფიშერმა და ბასტლეტმა ხელი ჰკრეს. ეს შეამჩნიეს ირლანდიელებმა და წამოდგნენ თავიანთ ადგილებიდგან. სწორედ ამ დროს მოხდა ინგლისის პარლამენტში დაუჯერებელი ამბავი. ვიღ მაც უცაბედად ხელი მოჰკრა ულსტერელების მეთაურის პოლკოვნიკის სანდერსენის ქუდსა. ქუდი ძირს დაეცა. ფიცხი პოლკოვნიკი ძლიერ გაგულისდა, არც-კი გაარჩია, ვინ იყო დამნაშავე და ვინ არა, და ისე შემოჰკრა ირლანდიელს აუსტინს, რომ წააქცია. მაშინ მეორე ირლანდიელმა, კრიკმა, ორჯერ სილა შემოჰკრა პოლკოვნიკს სანდერსენსა. დეპუტატები მისცვივდნენ და წამსვე გააშველეს მოჩხუბარნი. იმდროს გაისმა ხანგრძლივი სტვენა. დეპუტატებმა მოიხედეს და ნახეს, რომ გალერეიაზე მყოფი გარეშე ხალხი უსტვენდა. ყველას ისე შერცხვა, რომ ვერავინ გაბედა გარეშე ხალხი დაეჩუმებინა. ყველანი გრძნობდნენ დამნაშავენი ვართ და ცუდად მოვიქეციითო. ამ ამბავმა საშინლად აალელვა გლადსტონი. შეიძლება ამ საქმის გამო გამოძიება არც-კი მოხდეს, მაგრამ დამნაშავე დეპუტატები, რასაკვირველია, პარლამენტს სამუდამოდ უნდა გამოეთხოვნენ.

## წვრილი ამბავი

ავსტრალიაში კვლავ აღმოაჩინეს ოქროს მადანი. ეს მადანი დასავლეთ ავსტრალიაში. ამ ცოტა ხანში 9,000 უნცი ოქრო მოსთხარეს. ხალხი ფეხდაფეხ-ვით დაედევნა ამ ალაგას. ამ ჟამად იქ 1,400 კაცზედ მეტია და ბედიც უღიმით: ოქროს მადანი ულეველია, ამბობენ მაინც.

— სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ თითო გერმანელს (განურჩევლად სქესისა და ასაკისა) 1891—1892 წ. მოუხმარნია 17,4 კილოგრამი მარილი, 9,5 კილოგრამი შაქარი, 0,16 ტკბილეულობა, 3,53 ქაშაყი თევზი (селедка), 2,69 ბრინჯი, 1,98 ახალი ხილი, 105,5 ლიტრი (0,0813 ჰექტოლიტრი) ლუდი, 5,5 წმინდა ალკოჰოლი (ეს ეთანხმება 16,5 ლიტრს არაყს $33^1/_2$ გრადუსიანს), ყავა—241 კილ., (ხმელი ყავისა), ჩაი—0,05 კილ. კაკაო—0,15 კილ. 1,5 კილ. თამბაქო. წელიწადში ხარჯავს 94,3 კილ. რკინას 1385 კილ. ქვანახშირს, 547 კილ. კოქს, 14,71 კილ. ნავთისა და 4,55 კილ. ბამბას.

— ზოგან ამ ბოლოს დროს ძლიერ ჩაპარდნენ ჯიბგირები, განსაკუთრებით თეატრებსა და ბაღებში. პოლიციამ ვერც ერთი დამნაშავეთაგანი ვერ აღმოაჩინა. ერთხელ ერთი ახალგაზრდა ქალი ბაღის „კასსასთან“ იდგა. უცებ თვალი მოჰკრა, რომ ერთმა ყმაწვილმა ჯიბიდგან ფული ამოაცალა მეორეს. ქალი მაშინვე ეცა ჯიბგირს ხელებში. ჯიბგირმა გაქცევა მოისურვა, მაგრამ დროზედ პოლიციელი მიეშველა ქალსა და რაინდი ჩააბარეს იქ, სადაც ჯერ იყო. პოლიციის უფროსმა ამ ყოჩაღობისათვის ქალს დიდი მადლობა შეუთვალა და სიმართლის გამოსარჩლებისათვის უძღვნა ბრილიანტის გულის ქინძისთავი. ეს ამბავი მალე მთელს ქალაქს მოედო. ყველანი აქებდნენ ამ ქალის გულადობას და ცოტახანში ერთმა ჟურნალისტმა ცოლადაც შეირთო. ასე დააგვირგვინა ღარიბ ქალის გამოსარჩლება და გულადობა. თორემ ვინ იცის, კიდევ რამდენ წელიწადს იჯდებოდა შინ, გაუთხოვარი!

— „ბიბლიის საზოგადოებას“ ერთი საინტერესო ამბავი შეემთხვა. ერთი მათი წიგნების დამტარებელი შეიპყრეს გალატაში, რადგანაც ოსმალურად ნათარგმნ პავლე მოციქულის ეპისტოლეს ავრცელებდა იქაურ მცხოვრებთა შორის. გალატის მთავრობამ ეჭვი შეიტანა, აქ უთუოდ რაიმე საპოლიტიკო ინახო, და დააპატიმრა წიგნის გამყიდველი. საბრალოს მხოლოდ მაშინ გაანთავისუფლეს, როდესაც უტყუარ საბუთი მოიტანა, რომ პავლე მოციქული უკვე გარდაცვლილიაო.

## გასართობი

ახალი რომანი 5 ტომად

I

რა ძლიერ უყვარდა ჩემს ნაცნობს თავისი სატრფო. აღარა ახსოვდა-რა სიყვარულის მეტი. დღე და ღამ თვალ-წინ ედგა საროს ტანი, მომხიბლავი ღიმილი,

შავი თმა, მაყვალის მსგავსი ნაზი თვალები...

ეს პირველი ტომი რომანისა დასრულდა ჯვარის წერით.

II

ცოლი დიდი ცომიაო. ქმარი დღე და ღამ შრომობდა, წელებზედ ფეხს იდგამდა, თავს იმდაბლებდა... სულ ფულის გულისთვის. სამაგიეროდ საყვარელს მეუღლესა მუდამა ჰქონდა: მშვენიერი ჩალის შლიაპა, კოხტა კრუჟევებით მორთული ქოლგა, ლამაზი კაბა, ჩინებული წინდები და მშვენიერი ტუფლები, ცისფერ აბრეშუმისა.

III

სამსახურის დროსაც-კი სულ იმაზედ ჰფიქრობდა, ფული სად ვიშოვო. ერთხელ ფრიად საჭირო ქაღალდში შეცდომით დასწერა: „29 ივლისს თქვენ კითხვაზედ პატივი მაქვს უმდაბლესად მოგიტიურნუროთ“...

ერთხელ ერთის ნაცნობისთვის „გამარჯვება“ უნდა ეთქვა და გამარჯვების მაგივრად წამოსცდა: „ვატერპრუფ“!

თვით ბუნებაც რაღაც სხვა ნაირად ეჩვენებოდა ბედნიერს ქმარსა: მზე—ჩალის შლიაპად, მთვარე—მარაოდ. ღრუბლები—ხან კორსეტად, ხან იუბკად და ხან აბრეშუმას წინდებად.

IV

იმ დაწესებულებაში, სადაც მსახურებდა, კასიდგან ფული გაჰქრა. სამსახურიდგან დაითხოვეს ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. ავადმყოფი ბოდავდა. ელანდებოდა წამოსასხამები, კორსეტები, შლიაპები, ბანტები, ლენტები...

V

მიმაწვიეს ავადმყოფთან. გავსინჯე. მორჩენის იმედი აღარ იყო. ვიღასაც ემუქრებოდა, მუშტებს უღერდა და ჰყვიროდა:

— ეს საკაბე სრულებით ისეთი არ არის, როგორც ცოლმა დამაბარა... სხვა მაჩვენეთ, სხვა, უფრო თალხი! თალხი!..

მკურნალი ვაიმე

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოგვაცხადებინოთ მათდამი, რომელთაც შემოსწირეს სხვა-და-სხვა წიგნები ქვემო რაჭის წიგნთსაცავსა. აი სია შემომწირველთა: ა. გ. გურგენიძემ ქართული წიგნი და ექვსი რუსული, ღირებულნი 8 მან. 60 კაპ., ი. მ. კიკვაძემ 12 ქართული და 4 რუსული 5 მ., ნეს. ფურცელაძემ 16 ქართული 3 მ. 75 კაპ., ნ. კანდელაკმა 3 ქართული და 5 რუსული 3 მან. 65 კ., ი. ს. ენუქიძემ ერთი ქართული 3 მ., პ. ოდდევმა ერთი ქართული 2 მ. 50 კ., მალ. სირაძემ 4 ქართული და 1 რუსული 2 მან. 20 კ., ქ. კ. პეტრიაშვილისამ ორი ქართული უდაში 2 მ., ქოქაშვილმა 6 ქართული და 1 რუსული 2 მ., ძმ. გრ. და მოსე თოიძეებმა 10 ქართული 1 მ. 80 კ., მღ. ს. კახეთელიძემ 1 ქართული 1 მ. 50 კ., ივ. ბუქურაულმა 1 ქართული 1 მან., მოსე თოიძემ 5 ქართული 85 კ., ქ. კალისტინე მესხისამ 6 ქართული 75 კ., ალ. ჯულელმა 1 ქართული 50 კ., და კას. ჯაიფარიძემ 2 ქართული 35 კ. სულ 39 მან. და 45 კაპ. დიდად ვმადლობთ იმათაც, ვინც შემოწირულების გარდა სხვა დახმარებასაც გვიწევს ამ კეთილ საქმეში. იმედი გვექმნება, რომ არც შემდეგ მოგვაკლებენ ამ გვარ დახმარებას.

ქვემო რაჭის წიგნთსაცავის დამაარსებელ ამხანაგობის წევრთაგანი

ბლაღ. მღ. ნიკიფორე კანდელაკი

93 წელს, 20 ივლისს.

# დეპეშა

27 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია, რომ ამ კვირასა ვე მომატებულ იქმნება საბაჟო ტარიფი 50% იმიმ გერმანიიდგან ფინლიანდიაზე მოტანილ პროვენანსებზე. გუშინ დაიწყო კრება შაქრის მექარხნეთა. ფინანსთა მინისტრმა წარმოსთქვა კრებაზედ, იმედი მაქვსო, რომ შაქრის ფასს არ ასწევთ და ხალხს არ აიძულებთ შაქარი საზღვარ გარედ იყიდონო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი.

| | მყიდველისა მან. კ. | გამყიდველისა მან. კ. | გაყიდულისა მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,66 | 7,69 | „ |
| ტამოჟნის კუპონები | 152¾ | 153¾ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგებით ბილეთი | 241¼ | „ | — „ |
| მეორისა | 225¼ | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი | 194¼ | — „ | |
| გირავნობის ფურცლები ტფილისის ბანკისა: 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი
## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 6 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე ახლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში რაობივით ღამის 2 საათზე, შორი. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით,

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევს ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღლოდაც

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევო 2 საათამდე. (150—79)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | . |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუსი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | . |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |

## გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის,

ე. ი. ფრანციუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




ტფილ. გამოფენა




ვერცხლისა




ოქროსი

## ალექსი თუთაევის
### ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეით გამოგზავნით, დანარჩენი საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნებისშოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—33) ალ. თუთაევი

## საკომერციო კურსები
### ქალებისა და ვაჟებისათვის
#### წელი მეთორმეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანველიანცს, ტფილისს. (24—8)


Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Іюля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე